№ 261 სამშაბათი, 24 ნოემბერი 1909 წ. № 261

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან [illegible] თი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ხება. ინახება ერთის თვით მხოლოდ [illegible] მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

არჩილ ივანეს ძე ფიცხელაური აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის მისი მეუღლის

ეკატერინე ივანეს ასულის ფიცხელაურის (მამით კატუშა კუნდუროვისა)

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება წმ. ნინოს ეკლესიაში წირვა დღეს. დილის 10 საათზე, ხოლო 12 საათზე პანაშვიდი და ძეგლის დადგმა განსვენებულის საფლავზე. (1—553—1)

წარმოდგენა № 18. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 18.
აბონიმენტი 7-დე
ხუთშაბათს, 26 ნოემბერს 1909 წელს.
წარმოდგენის წინ ივ. გომართელი წაიკითხავს ი. შილლერის ბიოგრაფიას
ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:
ი. ფ. შილლერის დაბადების 150 წ. თავის აღსანიშნავად

**ყაჩაღები**

ტრაგედია 5 მოქმედ. თარგ. ავალიშვილისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი მ. მდივანი; ბ-ნნი ს. სვიმონიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ზამშელი, ვ. მატარამე, ი. ყიფიძე, შ. საფაროვი მურვანიშვილი, ვ. ურუშაძე.
ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.
დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.
მზადდება წარმოსადგენად „ნერონი“, ტრაგედია კოსსისა. „სამეგრელოს მთავარი ლევან“, „გიორგი მესამე“.
მორიგი რეჟისორი კ. მესხი. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.
დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

სადღესასწაულო **ქართული თეატრი** წარმოდგენა
კვირას, 29 ნოემბერს 1909 წ.

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის**
30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად
დილით:
გადახდილი იქნება დღესასწაული გუნდისა და ორკესტრის მისალმებით, შემდეგ მიულოცავენ დაწესებულებათა, საზოგადოებათა და სხ. დეპუტაციები. გუნდი ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა და ორკესტრი ზ. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. დილის მილოცვათა შორის, მომღერალი ა. პ. სარაჯიშვილი იუბილიარს უმღერებს თავისს ადრესს. დილის დღესასწაული დაიწყება 12 საათზე.
საღამოთი:
ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით ქართულ დრამ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:
1. **ორი ობოლი**, მე-5-ე მოქმედება, დენიერისა, თარგმანი ავქ. ცაგარლისა.
2. **დაქცეული ოჯახი**, მე-3-ე მოქმედება, გ. სუნდუკიანცისა.
3. **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** დღესასწაულის გადახდა და მილოცვა ქართველ მსახიობ. მიერ
4. **ხანუმა**, 1-ლ მოქ., თხზ. ა. ცაგარლისა.
დასასრულ **აპოთეოზი**
წარმოდგენის მთელი შემოსავალი და აგრეთვე ფულით შემოწირულებანი გადაეცემა ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მოხუცებულების უზრუნველსაყოფელ ფონდის გასაძლიერებლად.
ფულით შემოწირულებანი უნდა გაიგზავნოს სადღესასწაულო კომიტეტის ხაზინადრის ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილის სახელზე,
ბილეთები იყიდება 20 ნოემბრიდან ქართულ თეატრის კასაში.
ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა და სადღესასწაულო კომიტეტი.

ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა
ამით აცხადებს,
რომ კვირას 6 დეკემბერს სამეურნეო ბანკში დანიშნულია
**წლიური საზოგადო კრება**
განსახილველი საგნები:
1. 1908 წ. ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. 1910 წ. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა.
4. მიმდინარე საქმეები.
5. ახალი წევრების მიღება.
კრება დაიწყება დილის 11 საათზე. (3—უ.—2)

**ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა**
ამით აცხადებს, რომ ყოფილი სახლი კარაკოზოვისა კრუზენშტეინის ქუჩაზე (სასტუმრო „ანგლეტერი“). გოლოვინსკის ახლო.
**იძლევა ქირით ან იყიდება**
(5—უ.—2)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**
გარდან უქმე დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.
ს. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.
ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
(წლ.—ნ.—212)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.
ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.
მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.
ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
სოზოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.
თიკანაძე ი. ე. დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—ნ.—45)

**ქუთაისის ბანკის გამგეობა**
ამით აცხადებს, რომ ტფილისის აგენტურა ამა ბანკისა გადავიდა ახალ ბინაზე—ვერის დაღმართი, სახ. № 7, შრომის ბირჟის პირდაპირ, სადაც შეიძლება ყოველივე ცნობების მიღება, და მოლაპარაკება ბანკის ოპერაციების შესახებ. (3—ნ.—2)

**ექიმი** ლ. ნ. ოჯანჯანოვი ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე). (100—ხალ.—67)

**ექიმი** კ. ს. ფონ-ირტელი არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ხალ.—53)

**ექიმი** კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა
იღებს ავადმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასად. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (25—ნ.—5)

**ექიმი** ა ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოლონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—302)

**ექიმი** ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი
იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუზუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—33—108)

ქუთაისში
კბილის ექიმის დ. ს. რიჟინაშვილის კაბინეტთან გაიხსნა
**სამკურნალო**
პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. ვიტუშინსკის აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—50)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—55)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—ნ.—113)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**სამკურნალო**
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივ კრაოტებით.
მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.
ავადმყოფთა მიღება:
მ. ალაჯანოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
ნ. ათენიანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.
ვ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
ი. ეგიაზაროვი—ნერ. და შინ. 11—12 ს
მ. კიმონტი—ქირურგ. ავად. 11—12 ს.
მ. მაგაკიანი—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
ლ. მონინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
ა. კალმიკოვა-ვნუკოვა—ქალის ავად. 2—3 საათ.
სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ხალ.—64)

**სამკურნალო**
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეთან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი N 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-დე.
რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4ს.
თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5
იოხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 საათ.
ბოჟოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
ჩუდნოვსკი—ნერვებ, სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 მ.
ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.
ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.
ნოვიცკი— ებ., ქალ., ყოველდღე 1—2
ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.
კალამქაროვი—ბებ., ქალ., ყოველდღე კვირის, გარდა 4—5 საათ.
ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.
ასპიროვი—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (00—ნ.—119)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი** ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—59)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** გ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. ძიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—52)

**ქუთაისი** მასაჟით სამკურნალო კაბინეტი მ. ტ. ბალანჩივაძისა.
ყვავილის აცრა, აგრეთვე სახის მასაჟი ოქროქლის ვანებით. ვიღებ ავადმყოფებს დილ. 9 ს ნაშ. 2 ს. ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ ჰილაძის სახლებში. (25—ნ.—4)

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, სადაც 20—30 ნოემბერს მეფუტკრეობის გამოფენაა, იყიდება ნამდვილი ბუნებრივი სამჭელი და სამკურნალო

**თაფლი**

მღ. ალექსანდრე ჯალიაშვილის საფუტკრისა, რომელიც დაჯილდოვებულია. ვერცხლის მენდლით. (3—ნ.—2)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„დროების“ ფურცლებზე არა ერთხელ აღგვინიშნავს ჩვენი ცხოვრების უკუღმართობა. დღევანდელი ჩვენი ყოფა-მდგომარეობა ისეა მოწყობილი, რომ არაფერი არ ემსახურება ჩვენს საერთო ინტერესებს და ჩვენს საერთო მოთხოვნილებას. გვესაჭიროება ერთი, ჩვენ მეორეს ვებღაუჭებით. აიღეთ თუნდა სწავლა-განათლების საქმე. მრავალჯერ გვითქვამს, რომ დღევანდელი სისტემა სწავლა-განათლებისა არაფრის სარგებლობის მომტანი არ არის ჩვენთვის. ჩვენ პედაგოგიურ მხარეზე არ ვლაპარაკობთ. არც სამშობლო ენის განდევნა გვაქვს სახეში. ეს მეორე მხარეა საქმისა და ნაკლი ამ მხრივ თავისთავად აშკარაა. ჩვენ ვამბობთ იმ სისტემაზე, რომლის წყალობითაც დღევანდელი სწავლა-განათლება მოხელეების მოსამზადებელი ერთი უშველებელი ქარხანაა. ვაარსებენ სასწავლებლებს მხოლოდ „ჩინოვნიკების“ მოსამზადებლად. უბედურება ის არის, რომ ამ მიმართულებას ჩვენ თვითონ ვეტრფით, ჩვენ თვითონ ვადგივართ. ჩვენ თვითონ ვაარსებთ სასწავლებლებს, ვხარჯავთ აუარებელ ფულს სტიპენდიებზე მხოლოდ იმიტომ, რომ გავამრავლოთ „ჩინოვნიკები“. სრულებით არა ვზრუნავთ იმ დარგების განსავითარებლად, რომელნიც ჩვენი ცხოვრების წყაროს შეადგენენ. მთელი ჩვენი კუთხე სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა, მაგრამ ამ დარგის გასანვითარებლად და გასაუმჯობესებლად თითსაც არ ვანძრევთ. პირიქით, გავურბით კიდეც ამას. არ ვამზადებთ პრაქტიკულ მოღვაწეებს არც სასოფლო-მეურნეობისათვის, არც მრეწველობისათვის და არც სხვა დარგებისათვის. ასეა ყველა საქმეში.

ამავე საკითხს ეხება ეხლა ფ. გოგიჩაიშვილი „საქართველოს მოამბეს“ მეოთხე ნომერში. ამ ნომერში მოთავსებული წერილი (ამ სათაურით: „ჩვენ და ცხოვრება“), მხოლოდ წინასიტყვაობაა, სადაც ავტორი აღნიშნავს ხსენებულ ფაქტს. შემდეგისთვის გვპირდება ამ ჩვენი ცხოვრების უკუღმართობის ახსნა-განმარტებას და პრაქტიკულ დასკვნის გამოყვანას.

სხვათა შორის, ფ. გოგიჩაიშვილი სწერს:

ვერც ერთი დარგი სახალხო მეურნეობისა ვერ გაიზრდება და ვერ განვითარდება, თუ იმ დარგის ასპარეზს მუდამ ახალი ენერგია, ახალი მომქმედი ძალა არ ემატება. თუ ძველ მწარმოებელთა ადგილს იქ მეტის ცოდნითა და ძალღონით აღჭურვილი ახალთაობა არ იჭერს. ჩვენში კი მეურნეობის ყოველი დარგი არა თუ სუსტი და ჩამორჩენილია ტეხნიკურად და განუვითარებელი ეკონომიურად,—დრო და ჟამის განმავლობაშიაც მას ახალი პროგრესიული ელემენტი არ ემატება და ამით შინაგანი ნაყოფიერობა არ უდიდდება.

რომელ წრესაც უნდა ეკუთვნოდეს ქართველი, თავის ხელობითა ან ქონებრივის მდგომარეობით, მისი დამახასიათებელი მისწრაფება ის არის, რომ თვისი შთამომავლობა ახლანდელ მის წრესა და მოქმედების ასპარეზის ფარგალში არ დაურჩეს. ყოველი სოფლის მეურნე გლეხიც კი, რომელიც შვილის სწავლებას შეუდგება, იმ აზრით არის გამსჭვალული, რომ თავისი მემკვიდრე მეურნეობას მოაშოროს და უეჭველად „თავისუფალ ნასწავლ კაცად“ გამოზარდოს. ყოველი ქართველი მემამულე იმის ცდაშია, რომ როგორმე შვილი მამულის მოვლა-წარმოების საქმეში არ დასტოვოს, როგორმე კლასიკურ განათლების სასწავლებელში გაატაროს და „ჩინოვნიკად“ ან თავისუფალ „ინტელიგენტად“ აქციოს. ვაჭარიც კი, რომელიც უფრო პრაქტიკული კაცი უნდა იყოს, თავის შვილებს გიმნაზიებსა და ზავედენიებში აგზავნის და პრაქტიკულ-ეკონომიურ სარბიელს სამუდამოდ აშორებს. ყოველი ქართველი დედა იმას ნატრობს, რომ თავისი ქალი გიმნაზიაში ან პროგიმნაზიაში მაინც მიაბაროს. ერთის სიტყვით, ყველა ქართველს ეს ერთი მისწრაფება აერთებს,—დამოუკიდებელ სამეურნეო საქმიანობას შვილები უეჭველად მოაშოროს და „სამსახურის“ ხალხად აქციოს.

ეს მისწრაფება რაღაც მოარულივით აქვს დღეს მოდებული მთელს ჩვენს საზოგადოებას. თითქმის თვე ისე არ გაივლის, რომ რომელიმე სოფელმა ან დაბამ თხოვნების წერა და ფულის მოგროვება არ დაიწყოს გიმნაზიისა ან პროგიმნაზიის დასაარსებლად. დიდი და პატარა, შეძლებული და შეუძლებელი,—ყველანი სწორედ ისეთი სწავლის სიყვარულს შევუპყრივართ, რომელიც ეკონომიურ წარმოებისა და აღებ-მიცემობის საქმეში გროშად მოსახმარი არ არის...

ის სწავლა-განათლება, რომლისკენაც მიილტვის დღეს ქართველ ახალგაზდობის დიდძალი უმრავლესობა, არის უმთავრესად თეორიულ ხასიათისა და პრაქტიკულად გამოსადეგია მარტოოდენ სამსახურისა ან ესრედ წოდებულ „თავისუფალ პროფესიისათვის“, ამგვარ ცოდნა-განათლების ხალხს (ჩინოვნიკს, ექიმს, ვექილს, სოციოლოგს, ისტორიკოსს, ფილოლოგს, ფილოსოფოსს და სხვ.) პირდაპირი კავშირი სრულებით არ აქვს სახალხო მეურნეობასთან. ყველა ესენი უფრო კალმისა და ლაპარაკის ხალხია, უფრო მწიგნობარია, ვიდრე პრაქტიკულად მომქმედი და ეკონომიურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიმღები. მათი საქმე არაა დამოუკიდებული საქმიანობა არც სასოფლო მეურნეობაში, არც ვაჭრობასა და მრეწველობაში. ამისთვის მათ არ აქვთ არც შესაფერი მომზადება და არც სულიერი მისწრაფება. ერთის სიტყვით, ეს არის სამსახურის ხალხი როგორც მომზადებით, ისე პსიხიკით.

* *
*

როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამას წინად „ზაკ.“-დან, ჩაპოვის წერილიდან ამოვიღეთ დეპუტატ სალათელიანის და სხვა სომხების ნალაპარაკევი კავკასიის საქმეების შესახებ. ეხლა „ზაკავ.“-ში დაბეჭდილია დეპ. სალათელიანის დეპეშა. მოგვყავს ეს დეპეშა სრულიად.

ბ-ნ ჩაპოვის ფელეტონის გამო უნდა ვსთქვა, რომ არავითარ მანდილოსნისას მე იმასთან არ მილაპარაკნია, მაშასადამე ეროვნებათა დახასიათებაში მონაწილეობას ვერ მივიღებდი. პირადად უთხარი, რომ ქართველ ინტელიგენციის ერთი ნაწილი ტყუილად აზვადებს იმ მოვლენებს, რომელსაც ჰხედავს საქართველოს ქალაქში მყოფ სომხთა კოლონიებში. ეს მოვლენები და ნაკლულოვანებანი საზოგადო თვისებია ბურჟუაზიისა. ქართველ ინტელიგენციას ეს ნაკლულოვანებანი უფრო ეჩხირება თვალში იმიტომ, რომ იგი სხვისაა. არ შეიძლება ეს ნაკლუნევანებანი მიეწეროს მთელ სომხის ერს, რომლის, 88 პროცენტი ორივე სომხეთისა მიწადმომქმედია და ქალაქის მცხოვრებთა დიდი ნაწილიც კი მხვნელ-მთესველი და მებაღეა. ერობის შესახებ-კი კვლავ ვაცხადებ, რომ თათბირმა მხარი აუქცია განაპირა ქვეყნისთვის ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა გად უწყვეტლად ცოტად თუ ბევრად რიგიან ერობის შემოღება კავკასიაში შეუძლებელია“.

# სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**პიროვნების ხელ-უხლებლობა.**

მეოცე სხდომაზე, 20 ნოემბერს, სათათბიროში ლანძღვა-გინებით ისახელა თავი. მემარჯვენეებმა ამ სხდომაზე მოხსნეს პირი გუდას და რაც ტალახი და ჭუჭყი ჰქონდათ, სულ გადმოანთხიეს. ილანძღებოდნენ უმთავრესად მარკოვი მეორე და პურიშკევიჩი. მარკოვმა სათითაოდ ჩამოსთვალა ებრაელები, სომხები, კადეტები, სოციალისტები და ყველას უძღვნა თითო „კომპლიმენტი". „სოციალ-ყაჩაღებიო", „გაუშმაკებულიურიებიო", „ნახიჩევანელი მყეფავებიო" (სომხებს გულისხმობდა), გაიძვერა „კადეტებიო". ყველაზე მეტი მაინც „ინოროდცებს" მოჰხვდათ. ეს სიტყვა მარკოვს სულ პირზე ეკერა—„ინოროდცებმა" დაღუპეს რუსეთიო.

თავმჯდომარეობდა მემარჯვენე თავ. ვოლკონსკი, რომელმაც არც კი შეაჩერა თავგასული ორატორი. მემარცხენენი პროტესტს აცხადებდნენ, მაგრამ თავმჯდომარე ყურადღებას არ აქცევდა და მხოლოდ საერთოდ სთხოვდა დეპუტატებს—დაჩუმდითო. კადეტების უმრავლესობა, ტრუდოვიკები და პროგრესისტები გარედაც-კი გავიდნენ. კარაულოვმა წასვლის დროს სთქვა: „მე „კაბაკში" ყოფნას არა ვარ დაჩვეულიო". ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ თითონ თავმჯდომარემ წამოიძახა: „ვთხოვ სათათბიროს წევრებს, ნუ ღრიალებენო", რაზედაც მემარჯვენემ ვიაზიგინმა დაუყვირა: „ვთხოვ თავმჯდომარეს, ნუ ღრიალებსო": ასე შეამკეს ერთმანეთი მემარჯვენეებმა.

მთელი ეს ალიაქოთი მემარჯვენეებმა მოახდინეს მაშინ, როცა დაალ ყეს, რომ სათათბიროს უმრავლესობა წინააღმდეგი იყო პიროვნების ხელუხლებლობის კანონ-პროექტისა. სხდომის დაწყებისას ორი განცხადება შეიტანეს. ერთზე მემარცხენე ოქტომბრისტებს ეწერათ ხელი, მეორეზე კადეტებს და პროგრესისტებს. პირველნი თხოულობდნენ პროექტი შესამუშავებლად გადასცემოდა სამოსამართლო კომისიას, მეორენი—ახალ კომისიას, 22 კაც საგან შემდგარს. აი, ამან წაუკიდა ცეცხლი მარკოვს. ილაპარაკა მემარჯვენე ოქტომბრისტების ორატორმა ფონ-ანრეპმაც. მან ჯერ გაჰკიცხა მემარჯვენენი და მერე განაცხადა—17 ოქტომბრის ფრაქცია თანახმაა, პროექტი სამოსამართლო კომისიას გადაეცესო.

სათათბირომ 204 ხმით 113 ხმის წინააღმდეგ დაადგინა, კანონ-პროექტი პიროვნების ხელ-უხლებლობის შესახებ გადაეცეს შესამუშავებლად ახალ კომისიას (22 კაცისაგან შემდგარს) და დაენიშნოს ვადად ერთი თვე. ამ რიგად ოპოზიციის სურვილი გავიდა.

ამის შემდეგ განიხილეს რამდენიმე უმნიშვნელო კანონ-პროექტი.

ბოლოს მოისმინეს კანონ-პროექტი გადასახადების შესახებ. აზრადა აქვთ გადაათვალიერონ ის დებულება, რომელიც შეეხება გადასახადს უძრავ-ქონებაზე დაბა-ქალაქებში. პროექტში ნათქვამია, რომ გადასახადი უწეს-რიგოდ არის გაწერილი და უნდა გაუმჯობესდეს ეს საქმეო. მაგრამ, როგორც შჩეპკინმა აღნიშნა, მთავრობას სულ სხვა განზრახვა ჰქონია: მას უნდა თურმე ერთიორად გაადიდოს ეს გადასახადი. ამ სხდომაზე ორიოდე ორატორმა მოასწრო მხოლოდ სიტყვის წარმოთქმა.

# დეპეშები

პეტ. რუ. დეპეშათა სააგენტოსაგან

22—23 ნოემბერი.

**სპარსეთი**

**სტამბოლი.** სენატმა მიიღო სეფესიტყვის საპასუხო ადრესი. სენატი იმედოვნებს, რომ უცხო სახელმწიფოებთან მეგობრული დამოკიდებულება უფრო განმტკიცდება.

**სტამბოლი.** ავღანისტანის ემირის თხოვნით ავღანისტანში იგზავნება ცხრა ოსმალელი აფიცერი. ამ აფიცრებმა ავღანისტანის ჯარში რეორგანიზაცია უნდა მოახდინონ.

**თეირანი.** შირაზში დიდი არეულობაა. ამის გამო რუსეთის და ინგლისის საელჩოების დრაგომანებმა ინახულეს შინაგან საქმეთა მინისტრი და სთხოვეს შეიწყნაროს შირაზის გუბერნატორის შუამდგომლობა, რომ ამ უკანასკნელს დაემორჩილოს კაშკაის ილრანი და ნება მიეცეს შირაზის მალიატის ნაწილისგან რაზმი შეადგინოს. მთავრობა თანაგრძნობით ეკიდება შირაზის გუბერნატორის შუამდგომლობას.

ოდესის კონსულად დაანიშნა სეიდ-აბდულ-კემირ-ხანი. ეს უკანასკნელი წინად სპარსეთის ტფილისელ საკონსულოს მდივნად იყო.

მეჯლისი საიდუმლო სხდომებზედ იხილავს სამინისტროს პროგრამას. სამინისტრო სესხის აღებას და უცხოეთიდან მცოდნე კაცების მოწვევას თხოულობს.

**ოსმალეთი**

**გრადუსი.** შესდგა საქციონერო საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს, გაიყვანოს ოსმალეთში რკინის გზები. საზოგადოების ძირითადი თანხა ათ მილიონ მარკას უდრის. უპირველეს ყოვლისა დაამთავრებენ ბაღდადის რკინის გზას.

**ჰაერში ფრენა.**

**სტამბოლი.** ბელგიელი კოტერსი თავის ბიპლანით გაფრინდა კოტერსი 50 მეტრის სიმაღლეზე ავიდა.

**საზღვარ-გარედ**

**ლონდონი.** 20 ნოემბერს დაითხოვენ პარლამენტს. ახალი არჩევნები დაიწყება ამა წლის 28 დეკემბერს და დამთავრდება 1910 წლის 7 იანვარს.

**ბელგრადი.** 18 ნოემბერს დეპუტატთა პალატაში სოციალ-დემოკრატმა კოვაჩევიჩმა წინადადება შეიტანა, 5 ჩერნოგორიელს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, ამიტომ მთავრობას გაკიცხვა გამოუცხადოთო. დეპუტატთა პალატამ უარჰყო კოვაჩევიჩის წინადადება. საღამოთი სტუდენტებმა გამართეს საპროტესტო მიტინგი. ქუჩებში და გაზეთ „ბელგრადსკი ნოვინის" რედაქციის წინ ხალხმა დემონსტრაცია მოახდინა. დემონსტრაცია მიმართული იყო ჩერნოგორიის მთავარ ნიკოლოზისა და მთავრობის წინააღმდეგ.

**ხარბინი.** პეკინიდან იტყობინებიან: გამოაქვეყნეს ბოგდიხანის მიერ დამტკიცებული წესები საკონსტიტუციო პალატაში წარმომადგენლების არჩევნების შესახებ. წარმომადგენლები უნდა აირჩიონ პროვინციის საერობო დაწესებულებებმა. საკონსტიტუციო პალატა მუშაობას დაიწყებს 1910 წლის 28 იანვარს (ჩვენი სტილით).

**ვაშინგტონი.** საზღვაო დეპარტამენტმა კარატუში (ნიკარაგუას რესპუბლიკა) გაგზავნა ერთი კრეისერი და ორი საკანონირო ნავი.

**სენტპოლი.** მეისრეების გაფიცვამ თავის გავლენა იქონია ჩრდილოეთ-დასავლეთის შტატების მრეწველობაზედ. გაფიცულია 20,000 კაცი. სპილენძის მაღაროების პატრონები ძალიან დაზარალდნენ, რადგან სპილენძის გადაზიდვ-გადმოზიდვა შეჩერდა. ჩიკაგოდან და სხვა ქალაქებიდან გამოიწვიეს მუშები.

**რომი.** პრესსა დიდ ყურადღებას აქცევს სამინისტროს კრიზისს. პრესსის აზრით სამინისტროს დაცემა დეპუტატთა პალატის ოპოზიციონურ ელემენტების შეერთებამ გამოიწვია. ჰფიქრობენ, რომ ახალ სამინისტროს შედგენას სონნინოს მიანდობენ. მეფე დეპუტატთა პალატის და სენატის პრეზიდენტებთან და სხვა და სხვა პარტიის ლიდერებთან ერთად ითათბირებს კრიზისის შესახებ.

**ვენა.** ხორვატიის საერობო მთავრობის ბრძანებით სერბების საავტონომიო და საეკლესიო სკოლებმა და აგრეთვე სასკოლო საბჭოებმა მთავრობასთან მიწერ-მოწერის დროს კირილიცა არ უნდა იხმარონ, წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლებს დაჰკეტავენ, ან უფლებებს ჩამოართმევენ.

**ბერლინი.** ლონდონიდან იტყობინებიან: სეფე-სიტყვის წარმოთქმის შემდეგ პარლამენტი დაითხოვესო.

რეიხსტაგმა დაამტკიცა ინგლისთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულება.

**ლონდონი.** 19 ნოემბერს გადმოცემული ამბავი რომ დაიღუპა რუსეთის ორი სავაჭრო გემიო, ტყუილი გამოდგა. დაიღუპა ერთი ინგლისელი გემი, რომელიც კარდიფიდან ბრესტში წასულა. გადარჩენილი მატროსი შვეიცარიელი გამოდგა. მან განაცხადა, როდესაც გემების დაღუპვის ამბავი გადმოგეცით, არა ვგრძნობდი რას ვამბობდი, რადგან ზღვაში 10 საათი ვიცურავე, ამას გარდა თავში ხის ნატეხი მომხვდა და ძალიან დაუძლურებული ვიყავიო. დაღუპულ გემზე 15 კაცი იყო. ჰფიქრობენ, რომ გარდა ერთი მატროსისა ყველანი დაიღუპნენ, გემი ღელვის დროს დაღუპულა, ტყუილია ის, რომ ეს გემი მეორე გემს დასჯახებოდეს.

**ბერლინი.** პრესა ბევრსა სწერს დეპუტატთა პალატის ახალ პრეზიდიუმის არჩევნების შესახებ. არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღეს ნაციონალ-ლიბერალებმა და თავისუფალმა მოაზრებმა. სოციალისტებს იმედი აქვთ რომ თავჯდომარის მეორე ამხანაგად და მდივნად თავიანთ წევრს გაიყვანენ. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ ნაციონალ-ლიბერალებმა უარი განაცხადეს, პრეზიდიუმში ჩვენ წევრს არ გავიყვანთო. ნაციონალ-ლიბერალების შემდეგ სოციალისტებს რეიხსტაგში ყველაზედ მეტი წევრები ჰყავთ.

**რომი.** დეპუტატთა პალატამ აირჩია ახალი კომისია. ეს კომისსია განიხილავს კანონ-პროექტს ახალ გადასახადების შესახებ. კომისიაში აირჩიეს 8 კაცი, 6 ოპოზიციონერი და ორიც სამინისტროს პარტიისა. ამის შემდეგ მინისტრ-პრეზიდენტმა ჯიოლიტიმ განაცხადა, სამინისტრო გადადგაო.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. მინისტრ-პრეზიდენტმა ასკვიტმა სთქვა: მეფეს ურჩიე პარლამენტის დათხოვნა. მეფემ ჩემი რჩევა შეისმინა. თუ ლიბერალები მართველობას დაუბრუნდნენ, ისინი უპირველეს ყოვლისა ცხოვრებაში გაატარებენ ახალ ბიუჯეტსო. დეპუტატთა პალატამ (1349 ხმით წინააღმდეგ 131) მიიღო ასკვიტის რეზოლიუცია, ლორდთა პალატის გადაწყვეტილება ახალ ბიუჯეტის შესახებ კონსტიტუციის დარღვევაო.

**რომი.** დეპუტატთა პალატა. სიტყვა წარმოსთქვა მინისტრ-პრეზიდენტმა ჯიოლიტიმ. ჯიოლიტიმ დაასახელა ის მიზეზები, რომლებმაც სამინისტრო აიძულეს გადამდგარიყო და განაცხადა სამინისტრო დროებით რჩება, რადგან საჭიროა საზოგადოებრივ წესიერების დაცვა და მიმდინარე საქმეების გაძღოლაო. დასასრულ ჯიოლიტიმ ითხოვა დეპუტატთა პალატის სხდომის შეწყვეტა. სხდომა შესწყდა. დღისით მეფემ მიიღო ჯიოლიტი.

**ტულონი** ჯავშნიანი გემი „იენა", რომელიც 1908 წელს აფეთქების გამო დაზიანდა კუნძულ პორკეროლის ახლო ჩაიძირა. არავინ დაღუპულა.

**ბერლინი.** (დაგვიანებულია) გაზეთებს ატყობინებენ, რომ ბალტიმორის სავაჭრო ნაწილი იწვისო. ვაშინგტონიდან, ფილადელფიიდან და ნიუ-იორკიდან ბალტიმორში ცეცხლის მქრობელთა რაზმები გაიგზავნა.

**ლონდონი.** (დაგვიანებულია). ასკვიტმა თავის რეზოლიუციის დასაბუთების დროს, სხვათა შორის სთქვა: ინგლისის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ისეთი მაგალითი, რომ დეპუტატთა პალატის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი ლორდთა პალატას არ მიეღოს, იმ პალატას, რომელსაც ყველას აზრით არავითარი უფლება არა აქვს დეპუტატთა პალატის მიერ დამტკიცებული ახალი გადასახადი უარჰყოს. პალატა მოვალეა, ეხლავე დაამტკიცოს, რომ მას განზრახვაც არა აქვს [illegible] უფლებები [illegible] გათელვა [illegible] ეფიქრა [illegible] პალატას დასამტკიცებლად ახალ ბიუჯეტს წარუდგენს. ლორდთა პალატის განცხადება რომ ახალი ბიუჯეტი ხალხს უნდა გადაეცესო, აბდაუბდა იყო, მეტი არაფერი. ლორდებს ხალხის სიყვარულით კი არ მოუვიდათ, რო ბიუჯეტი უარჰყვეს, არამედ იმიტომ რომ ეს ბიუჯეტი მათ არ მოეწონათ, რადგან მათ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ბიუჯეტის უარყოფას დიდი გავლენა ექნება ინგლისის ცხოვრებაზედო. ბალფუსმა ოპოზიციის თანხმობით სიტყვა წარმოსთქვა და ლორდთა პალატა დაიცვა.

**მადრიდი.** მელილიიდან იტყობინებიან: ბენისიკარში მცხოვრებ თემების მეთაურებმა მორჩილება განაცხადესო.

**ლონდონი.** ღამე, 20 ნოემბერს მთელ ინგლისში დიდი ქარიშხალი ამოვარდა. ქარიშხალმა მცხოვრებლებს დიდი ზიანი მიაყენა. ბევრ ალაგას გაფუჭებულია ტელეგრაფის ბოძები და მავთულები. ზოგიერთ ალაგებში წყლები ნაპირებიდან გადმოვიდნენ. ჰფიქრობენ, რომ ზღვაში გასული მეთევზეები დაიღუპნენ.

**ვიკი** (კუნძული ფერე). ზღვაზედ დიდი ქარიშხალი და ღელვაა. ძალიან დიდი ზარალი მოუვიდათ კუნძულის სამხრეთ ნაწილის მცხოვრებლებს. დანგრეულია ხიდეები და სახლები.

**ბერლინი.** შვედტეს-შროსსეს ქუჩაზედ ორი ახალგაზრდა კაცი თავს დაეცა ფოსტის განყოფილებას. ბოროტ-გამზრახველებმა მსუბუქად დაჰკრეს ფოსტის განყოფილების უფროსი მოხელე, რომელმაც ტელეფონით დახმარება ითხოვა. ბოროტგამზრახველები გაიქცნენ. 500 მარკა აღუთქვეს იმას, ვინც ბოროტ-გამზრახველებს აღმოაჩენს.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. ყველა პარტიების ორატორები წინააღმდეგნი არიან რომ დამტკიცდეს პორტუგალიასთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულობა.

**ლონდონი.** პარლამენტის დახურვის დროს წაიკითხეს სეფე-სიტყვა. სეფე-სიტყვაში ნათქვამია: უცხო სახელმწიფოებთან მეგობრული ურთი-ერთობა გვაქვს. ოსმალეთში კონსტიტუციონური წესწყობილება თან და თან მაგრდება. ჰააგის 1907 წლის კონფერენციის დადგენილებანი ზოგიერთი ცვლილებით დაამტკიცეთ გერ-

---

# ემრე ხდება ყველას თავს

მთელ სცენას თხელი ლეჩაქივით გადაჰკვრია ბინდი და ყველაფერი ბუნდოვანად მოჩანს. მარჯვნივ და მარცხნივ თითო კარები. სცენის უკანა მხარეს წარმოადგენს მდრეული, უხილავი სივრცე. მქრალი ფერფლივით მოცურავე ბინდბუნდი მიჰქრის შორს—შორს და თან და თან იქცევა განუჭვრეტელ სიბნელედ. შუა სცენაზე აღმართულია მაღალი თაღი, რომლიდანაც პირქუშად იყურება შავი წყვდიადი. როდესაც კაცი ამას უყურებს, თითქოს ჰგრძნობს, რომ ამ წყვდიადში იფარება რაღაც უცნაური ძალა და საიდუმლოება.

ფარდა იხდება. სცენაზე სხვა და სხვა მხრიდან გამოდიან ადამიანები. ყველანი ერთმანეთს წააგავან, რადგან ბინდ-ბუნდი აერთებს მათ სხვა და სხვაობას. მხოლოდ მათის ლაპარაკისა და მიხვრა-მოხვრის რიხიანობა ამტკიცებს, რომ ისინი ჯერ სულ ახალგაზრდანი არიან. ისინი ჩვეულებრივზე უფრო ამაყნი არიან, პირდაპირნი, შეუპოვარნი და მეოცნებენი. მათი ძვალ-რბილი გაჟღენთილია სხვა და სხვა მისწრაფებათა იდეალით. მათ მეტი არ უწვნევიათ ცხოვრების სიმწარე, არც უგემიათ მისი სიტკბოება; ეხლა ემზადებიან ცხოვრებისთვის. ყველანი დაბნეულად მიდიან წინ და გაოცებით აქეთ-იქით იცქირებიან. ცოტა შემკრთალნი შეჩერდებიან და ერთმანეთს დაუწყებენ კითხვას.

— გზა დავკარგეთ!

— სად მივდიოდით?

— აქ სად მოვაწყდით?

— ვერაფერს ვხედავ, არა მესმის-რა!

— უკან გავბრუნდეთ...

— როგორ იქნება, გზას ვერ ვიპოვით!

— იქ სიბნელეა, წყვდიადია!

— მაშ სად წავიდეთ, სად ვიპოვოთ ხსნა?

— ჯერ გავიგოთ, სად ვიმყოფებით...

— გვითხარით სადა ვართ? ვინ იცის, სადა ვართ?

— სადა ვართ?

— სთქვით ვინმემ, სად ვართ?

— გეფიცებით, რომ არა ვიცირა!

— არც მე ვიცი!

— არც-მე!

ძრწოლვა და ფიქრი დაუვლის ყველას.

— რა გვეშველება!..

— რა გზას დავადგეთ!

— მე გული მითრთის, შიშმა მომიცვა...

— მეც მეშინიან!

— მეც მეშინიან!

— ფერმა გადამკრა, მეც მეშინიან!

შიშს ელრთდება გაშმაგება. ხმა მაღლა იწყებენ ყვირილს.

— ვინ მოგვიყვანა ამ უდაბნოში?

— ვინ მოგვიძღოდა, მეთაურობდა?

— ეი, წინამძღოლო!

— ჰეი, სარდალო! სადა ხარ? გამოჩნდი?

— ეხლაც გაგვიძეღ! გვიჩვენე სხვა გზა!

— თავს რათ გვანებებ?

— რისთვის გვღალატობ?

— გამოჩნდი, სადა ხარ?

— რას იმალები?

— ჰეი, სარდალო!

— ეი, წინამძღოლო!

მოისმის უცბად მკვახე ხმა:

— როდისა გვყავდა ჩვენ წინამძღოლი? ვის ეიიწოდებთ, არა მესმისრა.

თითქოს ერთბაშად ყველა გონს მოდის:

— ეგ მართალია, წინამძღოლი როდისა გვყავდა!

— არა გვყოლია წინამძღოლი!

— არა გვყოლია!

— თვითონ მოვედით ამ უდაბნოში და, რაც მოვივა, ჩვენი ბრალია!

— ჩვენი ბრალია, რომ გზა დავკარგეთ!

— ჩვენი ბრალია!

— ვინ გვიხსნის ეხლა!

— რა გვიხსნის ნეტავ!

— სადა ვნახოთ შველა?

— რა გზას დავადგეთ?

— ნეტავ გავიგოთ სადა ვართ მაინც, იქნება მაშინ მოვნახოთ კვალი!

— ახ, რომ ვიცოდეთ, სად ვიმყოფებით!

— სადა ვართ ნეტავ!

**ხმა წყვდიადიდან:**

— თქვენ ხართ აქ, ცხოვრების წინ!

შიში ჰქრება და გაოცებით მიმართავენ ერთმანეთს:

— ვინ ლაპარაკობს?

— ეს ვისი ხმაა?

— ვინ იყო? რა სთქვა?

— რა გვიპასუხა?

— არ ვიცი, რა სთქვა, ყური ვერ მოვკარ...

— ვერც მე გავიგე!

— უცნაური რამ კი იყო სწორედ!

— ეი, ვინ რა სთქვი? კიდევ გაგვეც ხმა!

— კიდევ გვითხარი!

— გაგვიმეორე!

— გიჟური იყო თუ ჭკვიანური, კიდევ გვითხარი!

— გაგვიმეორე.

**ხმა წყვდიადიდან:**

— თქვენა ხართ აქ, ცხოვრების წინ!

ხალხში გაისმის დამცინავი სიცილ-ხარხარი.

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

— ეს ვინ რასა ჰბოდავს?

— ვინ მასხარობს!

— გაგიჟებულა!

— გადარეულა!

— ან მწყრალად არის ჭკუაზე, ან ჩვენ დაგვცინის, მასხარად გვიგდებს!

— ცხოვრების წინა ვართ! აი, ახალი ამბავი!

— ვითომ-და ამით გზა გაგვიკვლია!

— განა აქამდის სადღა ვიყავით?

— სადღა ვიყავით, ჰკითხეთ ერთი მას.

**ხმა წყვდიადიდან:**

— თქვენ აქამდის მიდიოდით ცხოვრებისაკენ. ეხლა კი ყველა იმყოფებით სწორედ იმის წინ. ჩქარა მასშიაც მოგიხდებათ ყველას შესვლა.

**ადამიანები:**

— განა აქამდის კი არ ვიყავით, ცხოვრებაში?

— განა აქამდის არ გვიცხოვრია?

— თუ კი ვცოცხლობდით-ვცხოვრობდით კიდეც!

— ჩვენი ცხოვრება სიცოცხლეშია!

— ჭეშმარიტია!

— ჭეშმარიტია! რადგან ვცოცხლობდით, ვცხოვრობდით კიდეც!

**ხმა წყვდიადიდან:**

— თქვენ აქამდის გაცხოვრებდნენ, ეხლა კი თვით თქვენ უნდა იცხოვროთ! უნდა იცხოვროთ, როგორც სცხოვრობდნენ თქვენი წინაპართა-წინაპრები და როგორც შემდეგში იცხოვრებენ თქვენი შთამომავალთ-შთამომავალნი.

**ადამიანები:**

— მაშ ცხოვრების წინ მხოლოდ ეხლა ვართ?

— ეხლა იწყება ჩვენი ცხოვრება?

— აბა სად არის ის, რომ ვერა ვხედავთ?

— მაშ დაგვანახვე, ვის წინაც ვდგევართ.

**ხმა წყვდიადიდან:**

— იმის ნახვასაც მოესწრებით. ის არსად გარბის. თქვენ კი იმისაკენ მიესწრაფვით, გზას ვერ აუქცევთ. აი ამ კარებს მიჰყავს იმისკენ. ეს არის სწორედ ცხოვრების კარი!

აღტაცებაში მოდის ყველა, თავბრუ ესხმევათ სიხარულითა.

— ესე ახლო ვართ მაშ ცხოვრებასთან!

— ეს არის სწორედ იმისი კარი!

— ჩვენ კი გვეგონა, რომ დავიბენით. ხსნა კი ყოფილა თურმე რა ახლო!

— შევცქლოთ კარი, რაღას ვუყურებთ?

— რაღას ვუყურებთ, შევიდეთ ბარემ!

— შევიდეთ ბარემ!

— აბა გავსწიოთ. ძლივს ხსნა არა ვნახეთ.

სიხარულით და გამბედავად მიადგებიან მარცხენა კარებს, ის არის უნდა შეაღონ კიდეც, ამ დროს მოისმის

**ხმა წყვდიადიდან:**

— შესდექით!

**ადამიანები:**

— როგორ თუ შევსდგეთ!

— არ შეიძლება!

— ძლივს ხსნა ვპოვეთ და ეხლა შევდგეთ!

— რას ველოდებით? აბა შევაღოთ!

— შევაღოთ.

— მაშ ყველა ერთად!

ხელ ახლა მოვლენ კარებთან ერთად და აპირობენ კიდეც გაღებას.

**ხმა წყვდიადიდან:**

— შესდექით ჯერა!

ყველანი ძალა-უნებურად შესდგებიან.

— ეს ვინ განაგებს ჩვენსა ნებას და ჩვენსა სურვილს?

— რა ესაქმება?

— რა გზას გვილობავს!

არ გავუგონოთ!

— თუ გზა გვიჩვენა, რაღას გვიჰერს ხელს!

— არ გავუგონოთ!

**ხმა წყვდიადიდან:**

— მოითმინეთ! ჯერ მოისმინეთ ჩემი რჩევა და დარიგება. შემდეგ კი კარი თვით გაიღება და გზა გახსნილი თქვენ წინ იქნება.

დაპირებით მისყიდულნი შოშმინდებიან და მოკრძალებით განაგრძობენ:

— თუ დარიგება—მაშ ჩვენ ყურს გიგდებთ!

— სიამოვნებით!

— მადლობას გეტყვით!

— თან დაგმადლით!

— სმენად ვქცეულვართ, აბა რას გვეტყვი?

— გელით!

— ყურს გიგდებთ!

— გვითხარი!

**ხმა წყვდიადიდან:**

— თქვენ, მოწოდებულნო საცხოვრებლად, ყური დამიგდეთ!

აი გაიღება თქვენ წინ კარი, ახალი კარი.

იქ სჩქეფს ცხოვრება მთის წყაროსავით.

სდუღს და ბობოქრობს მღელვარე ზღვასავით,

დაჰქრის, დახუის ვითა გრიგალი,

განუწყვეტლად სჭექავს და გრგვინავს.

თქვენი გზა მიდის ამ მღელვარე ზღვაზე, ამ ქარბუქზე, ჭექა-ქუხილზე. იქ არც ხიდია, არც სახტომი, არცა ბილიკი.

ყოველ ნაბიჯზე ყოველ ტალღას უნდა ებრძოლოთ, ისე გასპოთ ზღვაც, ქარბუქიც ჭექა-ქუხილიც.

**ადამიანები:**

— მერე რათ გვინდა ამდენი ბრძოლა, თუ გამარჯვებას არ ვეღირსებით?

— სულ ბრძოლა, ბრძოლა უგამარჯვებოთ?

— არც დასვენება?

— არც სიხარული?

**ხმა წყვდიადიდან:**

— წინ გადადგმული ერთი ნაბიჯიც იქნება ბრძოლის დაგვირგვინება. იმაში ჰპოვებთ სიხარულსა და გამარჯვებას. იქ გამარჯვებით გზა იკაფავთ ახალ ბრძოლისთვის. იქ გამარჯვებით შეიძენთ ახალ ძალღონეს.

მანიასა, ნორვეგიასა, შვეიცარიასა და პორტუგალიასთან ხელშეკრულება განვაახლეთ, რომლითაც სადაო საკითხები სამედიატორო სასამართლოებმა უნდა გაარჩიონ და განზრახული გვაქვს ასეთივე ხელშეკრულება სხვა სახელმწიფოებთანაც დავდოთ. ამას გარდა გავაფართოვეთ ინდოეთის საკანონმდებლო დაწესებულების უფლებები და შევადგინეთ სამხრეთ-აფრიკის ახალშენების კავშირიო. სეფე-სიტყვაში ხაზ გასმით არის აღნიშნული ის სარგებლობა, რომლის მოტანაც შეუძლიან სამხედრო და საზღვაო ომების შესახებ კონფერენციის მოწვევას. დასასრულ, სეფე-სიტყვაში მეფე მადლობას უხდის დეპუტატთა პალატას საზოგადოებრივ საქმეებისთვის საჭირო ფულის გადადებისთვის და სწუხს, რომ პალატის ასეთმა გულუხობამ და საქმის უნარმა ფუჭად ჩაიარა. პალატას ოფიციალურად დაითხოვენ 26 დეკემბერს ახალი არჩევნები დაიწყება 31 დეკემბერს.

**ბერლინი.** ვოლფის სააგენტოსატყობინებენ: ტყუილია ის ცნობა, ვითომ ქალაქ ბალტიმორას დიდი ნაწილი გადაწვულიყვეს. გადაიწვა რამდენიმე სახლი. ზარალი 300,000 დოლარს უდრის.

**პარიზი.** მთელ საფრანგეთში დიდი ქარიშხალი ამოვარდა. დაიღუპა რამდენიმე ნავი. არავინ დამხვრჩალა. ტელეფონის და ტელეგრაფის ბოძები და მავთულები თითქმის ყველგან გაფუჭებულია.

**ბერლინი.** 22 ნოემბერს დასავლეთ გერმანიაში დიდი ქარიშხალი ამოვარდა. ზღვაზედ დაიღუპა რამდენიმე პატარა გემი. დაიხრჩო რამდენიმე კაცი. მცხოვრებლებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

**ბერლინი.** მონრეალიდან დეპეშით იტყობინებიან: კათოლიკების ერთმა მისიონერმა თავის ეპისკოპოს შეატყობინა, რომ კანადის ჩრდილოეთ ნაწილში ესკიმოსები ვნახე. ამათ მიამბეს. რამდენიმე წლის წინედ ზეციდან ჩვენ მიწაზედ ჩამოეშვა თეთრი სახლი ე. ი. ჰაეროპლანი. ჰაეროპლანში ორი თეთრ-კანიანი კაცი იჯდა. თეთრ-კანიანი კაცები ძალიან შეწუხებულნი იყვნენ შიმშილით. ეხლა ისინი გარდაიცვალნენო. მისიონერს აზრად აქვს ხელმეორედ ინახულოს ესკიმოსები. შესაძლებელია, რომ ეს თეთრ-კანიანი კაცები პოლიარულ ქვეყნების გამომკვლელი ანდრე და მისი თანამგზავრი იყვნენ.

**რ უ ს ე თ ი**

**მინსკი.** ტყუილია გაზეთების მიერ გადმოცემული ცნობა, ებრაელ სტაიკერის სახლის აკლების შესახებ. საქმე ამნაირად იყო: სტაიკერის ტრაქტირში გლეხები დადგნენ. მათ ჩხუბი მოუვიდათ, ჩხუბში ჩაერია სტაიკერა და მისი ორი შვილი. სტაიკერის ერთი შვილი დაიჭრა და მალე გარდაიცვალა, რადგან დროზე ექიმს არ შეატყობინეს.

**პეტერბურგი.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია 3 გლეხის საქმე. ბრალდებოდათ 1907 წლის 12 ნოემბერს სტარაია დერევნიაში აგარაკის მეეზოვის, აგარაკის პატრონის ძმის წულის და მოსამსახურეების მოკვლა. სასამართლომ სამთავეს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

ოლქის სასამართლომ გაარჩია ჟურნალ „ჟელეზნოდოროჟნიკის" რედაქტორის ჰაუფმანის საქმე. ბრალდებოდა მთავრობის ცილისწამება. სასამართლომ კაუფმანს შვიდი დღით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

**პეტერბურგი.** გზათა მინისტრს განზრახული აქვს დაბალ და საშუალო სასწავლებლების მოწაფეებს, რომლებიც საექსკურსიოდ მიდიან, დაკლებული ფასებით დაუთმოს რკინის გზის ბილეთები.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს კომისიამ. რომელსაც წიგნთსაცავი აბარია, დაადგინა, დეპუტატებს უფლება აქვთ გამოიწერონ არალეგალური ლიტერატურა, იმ პირობით კი, რომ არალეგალური ლიტერატურა სახელმწიფო სათათბიროს წიგნთ-საცავში უნდა ინახებოდეს და არავის უფლება არა უნდა ჰქონდეს ეს წიგნები სათათბიროს გარედ გაიტანოსო. ამას წინედ შემოწირული რამდენიმე ყუთი არალეგალური ლიტერატურა კომისიის დადგენილებით საიმპერატორო წიგნთ-საცავს გადაეცემა.

**სტავროპოლი** (საგუბერნიო). სუვოროვის სადგურის ახლო ერთმანეთს დაეჯახნენ საქონლის მატარებლები. დაიმტვრა ორთქლმავალი და ექვსი ვაგონი. მსუბუქად დაშავდნენ: მაშინისტი, მისი თანაშემწე და უფროსი კონდუქტორი.

**ლოდძი.** არტურ მეისტერის ქარხანაში ჩამოინგრა სახურავი. მოკვდა ორი, მძიმედ დაიჭრა 7, მსუბუქად 5 მუშა.

**ეკატერინოსლავი.** გულიაპოლეში უცნობებმა მოჰკლეს ბოქაული კარაჩეპცევი.

**ხ ო ლ ე რ ა**

**პეტერბურგი.** ორი დღე-ღამის განმავლობაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა ერთი, ავად არის 34 კაცი.

**ნოვოჩერკასკი.** ქვანახშირის მაღაროებში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 1 კაცი.

**კოსტრომა.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1 კაცი.

**ეკატერინოსლავი.** მთელ გუბერნიაში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 3 კაცი.

**პეტერბურგი.** სააგენტოს ცნობით კიევში სენით დაწყებიდან აქნობამდის ავად გამხდარა 121, გარდაცვლილა 55. გუბერნიაში ავად გამხდარა 40, გარდაცვლილა 11 კაცი. ნიკოლაევსკში უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 3 კაცი; იალტაში ავად გახდა 51, გარდაიცვალა 14 კაცი.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

✦ **სროლა ვანქის ქუჩაზე.** 20 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, მადათოვის კუნძულზე ვიღაცეებმა რევოლვერი ესროლეს ერთ უცნობს კაცს. მსროლელნი გაიქცნენ ალექსანდრეს ბაღისაკენ. უეცრად გაჩნდნენ პოლიციელები და ერთი კაცი დააპატიმრეს. ორი გაიქცა ორბელიანის ქუჩისაკენ გაირბინა შემდეგ დიდი ვანქის ქუჩა, შევარდა ვანქის ქუჩის შესახვევში და, რაკი ამ შესახვევს მეორე მხარეს გასავალი არა აქვს, იქიდან დაუწყო მდევართ სროლა. პოლიციამ მსროლელთ ალყა შემოარტყა. მეთაურობდა პოლიცმეისტერი პოლკოვნიკი ზასიპკინი. სროლამ თითქმის ორი საათს გასტანა. რადგან უცნობნი პოლიციელებს არ დანებდნენ. ორივენი დახოცეს ტყვიებით. მოკლულებს აღმოაჩნდათ ორი რევოლვერი მაუზერისა, პატრონები, უბის წიგნები, სადაც ცნობებია. ვინაობა მოკლულებისა ჯერ არ არის გამორკვეული, პოლიციის ცნობებით ალყა შემორტყმულნი აგინებდნენ პოლიციელებს და ყვიროდნენ: ჩვენ ჩამოვედით ტფილისში ტერორისტულ აქტების შესასრულებლადაო. ერთმა ისიცა სთქვა, რომ ჩვენ მოვკალით განჯის მაზრის უფროსი ავალიანი, ერთი ჟანდარმთა როტმისტრი და სხვანიო. მოკლულების გვამები გაჰგზავნეს მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო განყოფილებაში, სროლის დროს დაიჭრნენ მსუბუქად პოლიციის 5 ნაწილის ბოქაული დაშკოვი და მეწვრიმალნე სერგო გოზიანცი (ფეხში). დაპატიმრებულმა უცნობმა სთქვა, ქუთაისის მეორე გილდის ვაჭარი ივანე სადარაძე ვარ და ქალაქში საექიმოდ ჩამოვედიო. მას დაპატიმრების დროს რევოლვერი არ აღმოაჩნდა.

✦ **ტყეები გლეხებისთვის.** პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვიდა სატყეო დეპარტამენტის ვიცე-ინსპექტორი ფოკი, რომელსაც დავალებული აქვს სახელმწიფო გლეხთა უზრუნველ ყოფა ტყით. საქმე იმაშია, რომ აქამდე სახელმწიფო გლეხებს სახელმწიფო ტყეებიდან გამგეთა ნება-რთვით ეძლეოდათ ხე-ტყე. უმაღლეს მთავრობას გადაუწყვეტია, ეს წესი შესცვალოს და სახაზინო გლეხებს ტყეები ჩამოუჭრას. ინსპექტორს, როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყეთ, დავალებული ჰქონია უმთავრესად უზრუნველ-ჰყოს რუსეთიდან გადმოსახლებული გლეხობა.

✦ **ჩამოხრჩობა.** 23 ნოემბერს, დილის 5 საათზე, საგუბერნიო საპატიმრო ეზოში სისრულეში მოიყვანეს სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ჩამოხრჩობა ჰქონდა გადაწყვეტილი მიხეილ ლაჰაშვილს. დასჯილს ბრალდებოდა ვანო მელდიშვილის მოკვლა და ვაჭრის სისოევის გატაცება.

✦ **ქალაქის დაწესებულებათა დათვალიერება.** 22 ნოემბერს შეუდგა ქალაქის თვით-მმართველობის დაწესებულებათა დათვალიერებას კავკ. ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი ვატაცი. ამ დღეს დაათვალიერა ავჭალაში ქალაქის წყლის მილის მოწყობილებანი. თან ახლდნენ ქალაქის თავის მოადგილე ალ. ი. ხატისოვი და სატეხნიკო კომისიის წევრნი.

✦ **უპასპორტოები.** ჩხრეკის დროს 20—21 ნოემბერს დააპატიმრეს მე-9 ნაწილში 30 უპასპორტო, პოლიციის მე-3 ნაწილში—26, მე-10 ნაწილში 7 და მე-2 ნაწილში—23 კაცი.

✦ **სიძის მკვლელი.** 21 ნოემბერს, 11 საათზედ, იზმაილოვის ქუჩაზე მცხოვრებმა ემელიან კოლესნიკოვმა ბულდოგის რევოლვერით სასიკვდილოდ დასჭრა თავისი სიძე გომბორის მცხოვრები ივანე როდინი, რომელიც იმავე საღამოთი მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა. მკვლელი შეიპყრეს.

✦ **მოხსენება.** დღეს, 24 ნოემბერს, კავკ. შტაბის დარბაზში მოხდება საზოგადო კრება კავკ. გეოგრაფიულ საზოგადოებისა. ი. ნ. ვორონოვი წაიკითხავს მოხსენებას ართვინის ოლქის ბუნებისა და მცხოვრებთა შესახებ, კრება 8 საათზე დაიწყება.

✦ **გაზეთის დაკეტვა.** ბათუმში დახურულა რუსული გაზეთი „ბატ. იზვ.-ტია". რომელიც ექიმ ბერგიანის რედაქტორობით გამოდიოდა. ამის ნაცვლად 20 ნოემბრიდან ქ-ნ ევგენია გერმანის რედაქტორობით გამოდის ახალი გაზეთი „ბატუმსკ. ვესტი".

✦ **სამასწავლებლო სემინარიები.** აზრადა აქვთ კავკასიაში რამდენიმე ახალი სამასწავლებლო სემინარია დაარსონ ვაჟებისა და ქალებისათვის. მზრუნველს დაუვალებია სახალხო სკოლების დირექტორისათვის —აცნობონ, სად უფრო საჭიროა სემინარიების დაარსება. (ბ. ვ.)

✦ **ჟურნალის გამოცემა პეტერბურგში.** ამ ჟამად ტფილისში მყოფ ბ-ნთ ტოტომიანცს და კოტელნიკოვს განუზრახავთ სააქციონერო საზოგადოების დაარსება ჟურნალის გამოსაცემად. მათ აზრადა აქვთ აქ ტფილისში იმოდენა თანხა მოჰკრიბონ, რომ პეტერბურგში მომავალ წლის 1 იანვრიდან შესძლონ ყოველ-კვირეულ ჟურნალის გამოცემა. ჟურნალმა ამიერ-კავკასია უნდა გააცნოს რუსეთის საზოგადოებას.

✦ **ერობა ბათუმის ოლქში.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, ბათუმის ოლქში დამთავრებულა ერობის შესახებ საოლქო თათბირის მუშაობა. დაუდგენიათ, როგორც გამონაკლისი, კინტრიშის ნაწილი გამოჰყონ ცალკე მცირე ერთეულად. კინტრიშის მცირე ერთეული საოლქო ერობაში შევა. კანტრიშის ნაწილში გადმოსახლებული რუსები სცხოვრობენ, ამავე სააგენტოს ცნობით მაჰმადიანთა წარმომადგენლების უმრავლესობა მომხრე ყოფილა ერთ ხარისხოვან ერობისა, მარტო საოლქო ერობისა. უმცირესობა ორხარისხოვან ერობას თხოულობდა—საოლქო და სარაიონოს.

✦ **გატაცებული ფულის აღმოჩენა.** მინსკის ხაზინაში ფულის მიღების დროს აღმოუჩენიათ ერთი 500 მანეთიანი. ეს ფული 1907 წელს 13 ივნისს ტფილისში ფოსტაზე თავდასხმის დროს გატაცებულ ფულისა გამომდგარა.

✦ **მეურნეთა კრება.** გუშინ, 23 ნოემბერს, საღამოთი დაიწყო საზოგადო სხდომა კავკასიელ მეურნეთა კრებისა.

✦ **ხოლერა ბაქოში.** სააგენტოს სიტყვით, უკანასკნელ კვირის განმავლობაში ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა 11, გარდაცვლილა 9, ავად არის 16 კაცი.

# ᲙᲐᲚᲐᲜᲗᲐᲠᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲘ

შაბათს, 21 ოქტომბერს, კავკ. სასოფლ-სამეურნეო საზოგადოებამ იდღესასწაულა თავის საპატიო წევრის ა. ა. ქალანთარის 30 წლის იუბილეი. საღამოს 8½ საათზე უკვე სავსე იყო დარბაზი.

საზოგადოების პრეზიდენტმა უგ. თავ. ვ. ა. გრუზინსკიმ გახსნა საიუბილეო დღესასწაული და პირველმა სამეურნეო საზოგადოების სახელით მიულოცა იუბილიარს ნაყოფიერი მოღვაწეობა 30 წლის განმავლობაში. გრუზინსკიმ ... ლავწლი იუბილიარის ... რა რომ ... დასდო ამიერ-კავკასიის ... ლებს, სადაც იგი მუშაობდა, დაამთავრა იმით, რომ იუბილიარს უსურვა კიდევ ხანგრძლივი მოღვაწეობა. საზოგადოების მდივანმა დღესასწაულზე დამსწრეთ გააცნო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს დადგენილება იუბილიარის შესახებ. საბჭომ საპატიო წევრად აირჩია იუბილიარი, 200 მან. გადასდო მის ნაწერების გამოსაცემად და სურათი ჩამოჰკიდა საზოგადოების დარბაზში. გ. შადინოვმა და ათანასიანცმა ვრცელ წერილებში ჩამოსთვალეს, სად რა გაუკეთებია, იუბილიარს 30 წლის განმავლობაში.

ამის შემდეგ დაიწყო მილოცვები. წაკითხულ იქმნა დეპეშები. ფეხზედ ადგომითა და ძლიერის ტაშის ცემით მიეგებნენ დამსწრენი სომხეთა კათალიკოსის დეპეშას იუბილიარისადმი. აგრეთვე ტაშის ცემით მიეგებნენ მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტის დეპეშას, მოსკოვის სამეურნეო საზოგადოების საბჭოსა და მოსკოვის აგრონომთა საზოგადოების დეპეშებს. აღტაცებული ტაშის ცემა გამოიწვია იუბილიარის მამის დეპეშამ. დეპეშებით იუბილიარს მიულოცეს: რუსეთის აკლიმატიზაციის საზოგადოებამ, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა უმაღლეს სამართველოს სამეცნიერო კომიტეტმა, სოხუმის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ, თერგის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ, სომ. განჯის შინა მრეწველობის განყოფილებამ, სომ. ცხინვალის შინა მრეწველობის განყოფილებამ, სომხეთა საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილებამ, სომხეთა ბაქოს კულტურულმა კავშირმა, ფრინველების მომშენებელ საზოგადოების ტფ. განყოფილებამ, ბათუმის ქალაქის თვით-მმართველობამ, ბათუმის სამეურნეო საზოგადოებამ, ხარკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ, სამეურნეო გაზეთმა „ნუჟდამ", საფინანსო სამინისტროს გაზეთის რედაქციამ, პეტერბურგის სომეხმა სტუდენტებმა, მოსკოვის სომეხმა სტუდენტებმა, პროფესორმა მარრმა, მოსკოვის სამეცნიერო ინსტიტუტის რექტორმა, პეტერბურგის ეკონომიურ საზოგადოებამ, სომხეთა ყველა კულტურულმა დაწესებულებამ და სხვებმა.

ტფ. ქალაქის თვითმართველობის სახელით იუბილიარს სიტყვით მიულოცა ალ. ხატისოვმა, ტფილისის სამკურნალო საზოგადოების მხრით ფიშერმა, საბეითლო საზოგადოებამ. ნამესტნიკის მეუღლის გრაფინია ვორონცოვ-დაშკოვის სახელით იუბილიარს მიულოცა ალ. ხატისოვმა, სომხეთა ტფ. სამეურნეო და შინა მრეწველობის საზოგადოების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქალანთარის მეცადინეობა-მეთაურობით 18 სომხის სოფლებში გაიხსნა საქსოვი ქარხნები. სომხეთა შინა მრეწველობის საზოგადოების წარმომადგენლებმა ადრესი მიართვა იუბილიარს. ამ საზოგადოების გამგეობას 1000 მან. გადაუდვია იუბილიარის სახელზე წიგნის გამოსაცემად და დაუდგენია, მის სახელზედვე დაარსოს ერთი სასწავლებელი. გაზეთ „გნუხატნესის" სახელით სიტყვა წარმოსთქვა მელიქბახტამიანცმა, „მოსავალის" რედაქციისა—ვ. ი. რცხილაძემ, „კოლხიდის" და ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების სახელით—ი. ქეთათელაძემ, სომხეთა საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით —სარუხანიანცმა, სომხეთა შინა მრეწველობის საზ. განჯის განყოფილებისა შახპარონიანმა. მიულოცეს აგრეთვე დრამატიულ საზოგადოებამ, ოსმალეთის სომხებმა, ვანის ვილაეთის სომხებმა, ... საზოგადოებამ და ქალთა საზოგადოებამ და სხვებმა.

გაზ. „მშაკის" სახელით ... იუბილიარს

---

იქ სიბნელეა, წყვდიადია გამეფებული, ამ საბნელეში მოგინდებათ თქვენ გზის კაფვა.

ერთიერთმანეთს იქ უქსოვენ ბედნიერებას.

ერთიერთმანეთს იქ უჭედენ უბედურებას.

იქ მარად ხდება გამარჯვება და დამარცხება.

მარად სწარმოებს აშენება, დაშლა-დაქცევა,

განუწყვეტელი მისწრაფება და დაბრკოლება.

იქ ბრძოლა არის გაჩაღებული, იქვე შრომა სდუღს აქაფებული და ვისაც უნდა იქით წასვლა, ყველას სჭირდება რამ იარაღი. თქვენც, მოწოდებულნო, იქ საბრძოლველად და საშრომლად, თქვენც დამჭირდებათ რამ იარაღი! მითხარით ყველამ, თუ ვის რა გინდათ? მე ყველა თქვენგანს შეგაიარაღებთ. იარაღს მოგცემთ ბლაგვს და ჟანგიანს, მაგრამ იქ, მუდმივ ბრძოლაში, მუდმივ შრომაში გაილესება, გაპრიალდები.

**ადამიანები:**

— რა მოწყალე ხარ!

— რა კეთილი ხარ!

— რა გულ-უხვი ხარ!

— რა სვიანი ხარ!

**ხმა წყვდიადიდან:**

— აბა მითხარით, ვის რა გჭირდებათ?

**ადამიანები:**

— მე გთხოვ სიმდიდრეს! მით გავკაფავ მე ცხოვრების გზას;

— მე გთხოვ დიდებას! ეს იქნება ჩემი სიმდიდრე!

— მე მომეც მოხერხება.

— მე მომეც სიმშვიდე სინიდისისა!

— მე გთხოვ ბედნიერებას. როგორიც იყოს, ჩემთვის ერთია. ბედნიერება კი მომეც მხოლოდ.

— მე მომეც ჭკუა! მით გავანათებ ცხოვრების წყვდიადს, მით გავკაფავ მის გაუვალ გზას!

— მომეც მე ნიჭი! ნიჭი ღვთიური, რომ ვუგალობდე ქვეყნიურ ჰარმონიას!

ამ სიმთა ჟღერით, საგალობელ ხმით ნათელსაც ვპოვებ, გამარჯვებასაც!

— ო! ყოვლად შემძლე! სიყვარულსა გთხოვ! სიყვარულსა გთხოვ! მე მით ვიცხოვრებ!

სიჩუმემ ყველას პირზე ხელი დააფარა, თითქოს რაღაცას მოელიანო. და ჩქარა გაჰქრა ისევ უკვალოდ, როცა მოისმა

**ხმა წყვდიადიდან:**

— ყველამ მითხარით გულში ნადები?

აღარავის გაქვთ რამ სათხოვარი?

**ადამიანები:**

— როგორ არა, კიდევ არიან.

— კიდევ არიან!

— კიდევ არიან!

**ხმა წყვდიადიდან:**

— რას ელოდები?

ადამიანებიდან კიდევ მოისმის რამდენიმე ნელი მტკიცე ხმა:

— მომეც მე ჯანი! ულეველი ძალი და ღონე! იმით ვიბრძოლებ, იმით ვიშრომებ, მასზე უკეთეს მე სხვას ვერას გთხოვ!

— მე ყმაწვილი ვარ. სულ ახალგაზრდა და იარაღად ესეც მეყოფა!

— ო, ყოვლად შემძლე! მე სიცოცხლეს გთხოვ, სიცოცხლესა მარტო სხვა არაფერსა!

— მე მომეც რწმენა მტკიცე, შეურყეველი, რომ ვით კანდელი მინათებდეს სავალ ბნელ გზასა; მისი იმედით ყველას ვებრძვი, მარად ვიშრომებ. ოღონდ ეგ მქონდეს, სანატრელი ჩემი ეგ არის!

**ხმა წყვდიადიდან:**

— სხვა?

**ადამიანები:**

— მარტო ამას გთხოვთ!

— ეს შეგვისრულე!

**ხმა წყვდიადიდან:**

— კარგი! ვინც კი რამ მთხოვა, ყველაფერი ექნება ყველას.

**ადამიანები:**

— რა სულგრძელი ხარ!

— რა კეთილი ხარ!

— რა მოწყალე ხარ!

— მარად შეგამკობთ ქებათა-ქებით!

— მარად გადიდებთ!

— მარად გილოცავთ!

— რა კეთილი ხარ!

— რა გულუხვი ხარ!

— ჩვენო ღვთაებავ!

— ჩვენო მოწყალევ!

— ჩვენო კეთილო.

— რა სულგრძელი ხარ!

— ვინც გინდა იყავ!

— რაც გინდა იყავ!

— ჩვენ არ დავეძებთ!

— არა ვკითხულობთ!

— მხოლოდ ღირსი ხარ ქებათა-ქების!

— შენ მოწყალებას ვერ გადაგიხდით

— ვერ გადაგიხდით.

**ხმა წყვდიადიდან:**

— მაშ გასწით ეხლა თქვენ, ცხოვრებაში მებრძოლებო, მშრომელებო, მოგზაურება და დაიწყეთ ყველამ ცხოვრება.

თქვენ წინ იქნება ასპარეზი გაუზომელი. თქვენ წინ იქნება ცხოვრების გზა ფართო გაშლილი. ბევრჯერ ნავალი, კვლავ გაუვალი ეხლა თქვენც ბელეთ, ჰკაფეთ, გაჰკეთ ისე გასწით წინ, წინ გასწით ყველამ დაუღალავად, შეუჩერებლივ!

ეხლა კი გასწით!

**ადამიანები:**

— წავიდეთ!

— წავიდეთ!

— წავიდეთ!

მიდიან ყველა კარებისკენ, მაგრამ ჭიშკარით შეჩერდებიან.

— ჩვენ დაგვავიწყდა რომ გვეკითხა, ერთი გვითხარი.

— სად მივყევართ მერე იმ გზას? ბოლო რა არის?

— მართლა გვითხარი, სად მივყევართ?

— გვითხარი!

— სიკეთეს გვიზამ, ეგეც გვითხარი!

— გვითხარი!

**ხმა წყვდიადიდან.**

— რა საჭიროა, რომ იცოდეთ, სადაც მიდიხართ? ეგ იცის ერთმა, მხოლოდ ერთმა მარადისობამ. თქვენი ვალია, რომ იაროთ, იაროთ მარად. ისიც გეყოფათ, რომ იცოდეთ: სანამ იცოცხლებთ, არ დაგელევათ სავალი გზა, არ დაგელევათ!

**ადამიანები:**

— მაშ წავიდეთ.

— გავაღოთ კარი.

— გავაღოთ კარი!

ყველა მიდის. აღებენ კარებს, წინ შეხვდებიან უხვად მნათობ შავსა სიბნელეს და შემკრთალები გაოცებით შეჩერდებიან.

— რა სიბნელეა!

— თვალით არა სჩანს რა.

— ძალიან ბნელა!

— როგორ ვიაროთ ამ სიბნელეში!

— როგორ ვიბრძოლოთ!

— როგორ ვიშრომოთ!

— ღმერთო, რა ბნელა!

— თვალით არა სჩანს რა!

— რა სიბნელეა!

ნელ-ნელ შედიან კარებში და სიბნელეში უგზო-უკვლოდ შთანთქებიან. სიჩუმე ჩამოვარდება.

**ფარდა.**

(დასასრული იქნება)

მიულოცეს რედაქციის თანამშრომლებმა. გასპარიანმა მიულოცა სომხურ გაზეთის „ჰაიასტანის“ (ამერიკაში გამოდის) სახელით. აღტაცებულის ტაშისცემით მიეგებნენ ერევნის გუბერნიის 12 სოფლის წარმომადგენელის გლეხს, რომელმაც, სხვათა შორის, სთქვა შენ პირველი ინტელიგენტი ხარ სომეხთა შორის, რომელიც კაბინეტიდან გამოხველ და ჩვენში ჩამოერიე შენი კოდნით და ბევრი რამ გვასწავლეო. მრავალი იყო კიდევ დეპეშა კერძო პირთაგან.

იუბილიარმა დასასრულ გადაუხადა ყველას მადლობა და სთქვა, ამ მოლოცვებსა და დღესასწაულს მით უფრო ვაფასებ, რომ ამ ნაირ მოვლენას დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოზარდ თაობას ამხნევებსო.

11 საათი იქნებოდა, ხალხი დაიშალა. 22 ნოემბერს საღამოთი საარტისტო საზოგადოებაში იუბილიარს ვახშამი გაუმართეს.

# მოწერილი ამბები

**ყვირილა.** 15 გიორგობისთვეს დაბა ყვირილაში ერობის შესახებ ლექცია წაიკითხა გ. გიორგობიანმა. ლექციას ხალხი ბლომად დაესწრო, რადგან ეს საკითხი დღეს ჩვენში ბევრს საინტერესოდ მიაჩნია. გიორგობიანმა თავდაპირველად გააცნო მსმენელებს ქრონოლოგიურად რუსეთის ერობის დებულებანი, გამოცემულნი სხვა და სხვა დროს და თანაც აღნიშნა მათი ნაკლულევანებანი. ამასთან მოიხსენია თითქმის ყველა ის მოვლენა და გარემოება რუსეთის ცხოვრებაში, რომელსაც ცუდი გავლენა ჰქონდა და თან-და-თან დაამახინჯა და შეზღუდა პირველად შემოღებული ერობა.

მერე ლექტორმა ილაპარაკა ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის ერობაზე ანუ თვით-მმართველობაზე. აქო ინგლისის თვით-მმართველობა, წუნი დასდო საფრანგეთის ერობას და აძაგა გერმანიისა, რომელსაც უნდა ბაძვიდეს, ლექტორის აზრით, რუსეთის მთავრობა.

შემდეგ ლექტორმა გააცნო მსმენელებს იმ ბრძანების შინაარსი, რომელიც ნამესტნიკმა გამოსცა ერობის შემოღების შესახებ ჩვენში. მერე გრძლად განიხილა ის პროექტები ერობის შესახებ, რომელიც შეიმუშავეს ტფილისში და ქუთაისში სხვა და სხვა კრებაზე და დაგვანახვა მათი ღირება და უფრო ნაკლულევანება.

ლექცია ამით არ გათავდა. ლექტორმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აზრებს ბ-ნ ნ. ნიკოლაძისას, რომელიც მონაწილეობას იღებდა ქუთაისის კრებებზე ერობის გეგმის შემუშავების დროს, და დაიწუნა იგი. **გ. ჭ.**

---

**ბათუმი.** (ბათუმელ ვაჭართა საყურადღებოდ) კაცი თუ ცოტად შეგნებულია, უნდა იცოდეს, რა არის **საერო საქმე**. ბათუმელ ვაჭრებს ვერ დავსწამებ ამ უცოდინარობას, რადგან ესენი სცხოვრობენ ისეთ ადგილას, რომელიც ითვლება ფანჯარად ევროპისა. აქ ეს ვაჭრები კარგად ჰხედავენ სხვა და სხვა ეროვნების ხალხს; ჰხედავენ იმასაც, თუ ეს ხალხი როგორი მოყვარულია თავის ეროვნებისა და როგორ ეხმარება ეროვნულს საქმეებსა.

ჩვენში საეროვნო საქმე გახლავთ წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება. ამ საზოგადოების სასარგებლოდ ტფილისელმა ვაჭრებმა აჯობეს ბათუმელებსაც, ქუთაისელებსაც, გორელებსაც და სხვებსაც. მათ აირჩიეს წელიწადში ერთი დღე და ამ დღის ნავაჭრის ნაწილს წ.-კ. საზოგადოებას სწირავენ, ტფილისელ ვაჭრების კარგ საქმეს რომ წაჰბაძონ ბათუმის და ქუთაისის ვაჭრებმა, მართლა დიდი საქმე გაკეთდება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბათუმელი ვაჭრები არ ჩამორჩებიან ტფილისელებს და ისინიც მოაწყობენ ამ საქმეს. უნდა იცოდნენ ვაჭრებმა, რომ ამ დღეს, რა დღესაც დანიშნავენ წ.-კ. საზოგადოების სასარგებლოდ ვაჭრობას, მუშტარი მიაწყდებათ და ერთიორად მეტს ივაჭრებენ, ასე რომ არც თითონ იქნებიან ზარალში.

**ტ. ი—ძე.**

# თეატრი და ხელოვნება

**სახალხო სახლი.** შაბათს, 21 ნოემბერს, სახალხო სახლის სცენის მოყვარეთა წრემ წარმოადგინა სუმბათაშვილის „ღალატი“. თეატრი ძალზე იყო გაჭედილი. ბილეთები სულ ერთიანად თითქმის ერთი კვირის წინად გაიყიდა და ამ საღამოს ბევრი უკან დაბრუნდა. წარმოდგენა, რამდენადაც სცენა ნებას აძლევდა, კარგად იქნა დადგმული და რიგიანადაც ჩაიარეს. კარგის თამაშით უფრო მეტი ყურადღება მიაქციეს ლეჟავამ (გაიანე), გოგოლაშვილმა (რუქაია), კოლხიდელმა (ზეინაბ), ზურაბიშვილმა (ოთარ), ლეხურელმა (ანანია).

**ქართული თეატრი.** კვირას, 22 ნოემბერს წარმოადგინეს აკაკის „პატარა კახი“. ხალხი ჩვეულებრივზე მეტი დაესწრო. როლები კარგად გაენაწილებინათ. ყველა თავის ადგილას იყო— გამყრელიძე—გელა, მდივანი—ტურფა, ივანიძე—მეფე, გედევანოვი—ბაადურ., ზარდალაშვილი—მწყემსი. კარგად ჩაატარეს მუშებმა მესამე მოქმედება ყანაში.

ხუთშაბათს წარმოდგენილი იქნება შილლერის: „ყაჩაღები“.

**ავლაბრის თეატრი.** 21 ნოემბერს სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა ავქ. ცაგარლის კომედია, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. ფარდის ახდისას სცენის შუა ადგილს იდგა ავქ. ცაგარლის სურათი ყვავილებით მორთული და გარეშემო იდგნენ პიესის მომქმედნი პირნი—სცენის მოყვარეები და განსვენებულის მეუღლე ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა. შემდეგ ია ეკალაძემ მოკლედ გააცნო დამსწრეთ ასიკოს მოღვაწეობა და მწერლობა. ასიკოს პიესებმა შეაჩვია მდაბიო ხალხი თეატრში სიარულსაო. ია ეკალაძემ თავისი ლექცია მდაბიურ—გასაგებ ენით წაიკითხა,

შემდეგ გაიმართა წარმოდგენა. საერთოთ წარმოდგენას არა უჭირდარა. მხოლოდ ანსამბლი ვერ იყო კარგი.

ხალხი ბლომათ დაესწრო.

# სასამართლო

**თავდასხმა კასირზე.**

23 ნოემბერს ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე სოფ. ქვემო-ჭალის მცხოვრების თავ. ალ. ამილახვრისა.

1906 წელს 11 ივლისს პეტერბურგის საზოგადოების „ნადეჟდის“ ტფ. განყოფილების კასირს ფული (3,500 მან.) მიუღია ხაზინაში და როდესაც დაბრუნებულა კანტორაში, ვერ მოუსწრია პალტოს გახდა, რომ ორი შეიარაღებული უცნობი მივარდნია და ფული მოუთხოვნია. ერთს 3,500 მან. ამოუღლია ჯიბიდან, ხოლო მეორეს კი რევოლვერი. მერე გასდგომიან გზას. კასირი კანავალოვი გამოსდევნებია და მძარცველები შეუპყრიათ; ერთი მათგანი ალ. ამილახვარი გამოდგარა.

სასამართლოში ამილახვარი გამოტყდა და განაცხადა: სოფელში გლეხებმა მთლად ჩამომართვეს მამული და მოკვლითაც მემუქრებოდნენ, რის გამო იძულებული ვიყავი ტფილისისთვის შემეფარებინა თავი, მაგრამ ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავვარდი, რადგან ყოველი სახსარი ცხოვრებისა მომესპო. მცირეწლოვანი, გამოუცდელი ვიყავი, ამით ისარგებლა კუზელაშვილმა და წამიყვანა ამ საქმეზეო.

მოწმეებს აღარ გამოჰკითხეს, რადგან თვით ბრალდებულმა ამილახვარმა აღიარა დანაშაული.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო თავ. ამილახვარი და მიუსაჯა ყოველივე ღირსების ჩამორთმევა და 5 წლით კატორგაში გაგზავნა, ამასთან ღირსების ჩამორთმევის შესახებ დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა.

**პოლიტიკური საქმე.**

23 ნოემბერს სამოსამართლო პალატამ წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით, ხალხის დაუსწრებლად, განიხილა საქმე ვიქტორ ალავიძისა, რომელსაც არალეგალურ ლიტერატურის შენახვა ჰბრალდებოდა.

პალატამ დამნაშავედ იცნო ალავიძე და მიუსაჯა 10 თვით ციხეში ჯდომა.

**ს. მსახურის დროს დაუდევრობა.**

ამავე დღეს ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე მე-9 ნაწილის უბნის ზედამხედველის მაქ. ტოლმაჩევისა. მას სამსახურში დაუდევრობას აბრალებდნენ. 1909 წელს 16 აპრილს ტოლმაჩევის მორიგეობის დროს მისულა პოლიციაში ავაკიმიანცი და უთქვამს, ერთი ცნობა მაქვს გამოსაცხადებელიო. ტოლმაჩევს ამ ცნობის შესახებ არაფერი გამოუკითხავს და გაუსწავლებია მეორე უბნის ზედამხედველთან. მეორე დღეს „ტიფლისკი ლისტოკში“ ყოფილა ცნობა, და აღნიშნული ის ქურდობა, რომელზედაც უნდა გამოეცხადებინა ავაკიმიანცი, პოლიცმეისტერს ყურადღება მიუქცევია გაზეთის ცნობისათვის და მოუთხოვია ამ საქმის შესახებ ოქმი, რომელიც არ გამომდგარა, რის გამოც ტოლმაჩევი პასუხისგებაში მიუციათ.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო ტოლმაჩევი და დაადგინა, გამოეცხადოს მას სასტიკი საყვედური.

**კანტორის გაძარცვა.**

შარშან 17 დეკემბერს რამდენიმე ბოროტ-განმზრახველმა გაძარცვა ლენქორანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა. გაიტაცეს 34,000 მანეთი ფულად და 4,000 მანეთის მარკები. ბოროტ-განმზრახველებმა თავს უშველეს. რამდენიმე დღის შემდეგ, 24 დეკემბერს, კასიმ-ოღლი-გუსეინ-ოღლი და პოლატ-ნაბატ-ალი-ოღლი გეოკ-ტეპედან 3 ვერსის მანძილზე ნადირობდნენ და აქ უცაბედად შეხვდნენ ორ უცნობს, რომელთაც პური სთხოვეს. მონადირეებმა დააკმაყოფილეს უცნობები, მაგრამ უცნობებმა იცოტავეს პური, კასიმს ფული მისცეს და პურის ყიდვა სთხოვეს. კასიმი პურის საყიდლად წავიდა და თან თავის ამხანაგს თათრულად უთხრა, ეგენი ლენქორანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის გამძარცველები უნდა იყვნენ, შენ აქ მოიცადე და მე პოლიციას შევატყობინებო. კასიმს არდიეში ჩასვლისთანავე მოსაზღვრე სალდათებისა და როტმისტრისათვის გადაუცია ყველაფერი. როტმისტრი ეროფეევი ჩაუსაფრდა უცნობებს და დააპატიმრა ყველანი. უცნობებმა წინააღმდეგობა გაუწიეს მათ, მაგრამ ვერას გახდნენ. სროლის დროს, სხვათა შორის, დაიჭრა კასიმი. სალდათებმა მოჰკლეს 3 ბოროტ-განმზრახველი. მოკლულებს ჯიბეში უპოვნეს 10, 179 მანეთი. ორს ჯიბეში აღმოაჩნდა პასპორტი გირდანაძესა და კალანდაძეს სახელობაზე. დანარჩენებმა თავს უშველეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთი ბოროტ-განმზრახველი მოკლული ნახეს. ჯიბეები სულ გადმობრუნებული ჰქონდა, ალბად გაძარცვეს. 31 დეკემბერს დანარჩენი ორი ბოროტ-განმზრახველიც დააპატიმრეს. დაპატიმრებულები აღმოჩნდნენ ფილიპე სირაძე და გიორგი მაკლაკაძე. ამასთან სპარსეთის მთავრობამ გასცა ნაიპ-იბრაგიმ-ოღლი. ამ უკანასკნელს ჰბრალდება ბოროტ-გამზრახველების ხელის შეწყობა და დამალვა.

„ბაკუს“ სიტყვით, კავკასიის სამხედრო სასამართლოს გადაუწყვეტია სირაძესა და მაკლაკაძესთვის სიკვდილით დასჯა, ნაიპისთვის—უვადო კატორგა.

# უცხოეთი

**აბდულ-ჰამიდი და გერმანიის ბანკი.**

ამ მოკლე ხანში გერმანიის სასამართლო გაარჩევს აბდულ-ჰამიდის საჩივარს გერმანიის საიმპერიო ბანკზე. აი რაშია საქმე, ოსმალეთის ყოფილ სულთანს აბდულ-ჰამიდს 16 მილიონი ფრანკი შეუტანია საიმპერიო ბანკში. პირობით აბდულ-ჰამიდს შეეძლო მიეღო ფული მხოლოდ მაშინ, როდესაც წარადგენდა თავის ხელმოწერილ ქაღალდს და ამ ქაღალდზე ბეჭედიც თუ იქნებოდა დასმული. ეს ბეჭედი პირადად ჰქონია აბდულ-ჰამიდს, მაგრამ ოსმალეთის რევოლუციის დროს სადღაც გადაჰკარგვია და ეხლაც ვერ უპოვნია. ეხლა სულთანს უნდა ფული გამოიტანოს ბანკიდან, მაგრამ არ აძლევენ, რადგანაც ბეჭედია საჭირო. აბდულ-ჰამიდს ბერლინის ერთ ვექილისთვის მიუცია რწმუნების ქაღალდი და დაუვალებია ბანკის წინააღმდეგ საჩივარი აღძრას. უცხოეთის გაზეთების ცნობით, ამ საქმის გამო ოსმალეთის ბერლინელი ელჩი სტამბოლს იყო. ეჭვი არ არის ოსმალეთის მთავრობა ეცდება ფული ხაზინას გადაეცეს და არა აბდულ-ჰამიდს.

**ბალკანეთის ფედერაცია.**

ენვერ-ბეის ულაპარაკნია „რუსკ. სლ.“-ს კორესპონდენტთან ბალკანეთის ფედერაციის შესახებ. ენვერ-ბეის უთქვამს, რომ ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი მუყაითად მუშაობს ბალკანეთის ფედერაციის დასაარსებლად. ენვერ-ბეი დიდს მნიშვნელობას აწერს ბოლგარიის მეფის ფერდინანდის ბელგრადში მოგზაურობას. ფერდინანდიც და პაშიჩიც გულმხურვალე დამცველები არიან ბალკანეთის ფედერაციისა. სერბიის მეფე პეტრეც სიმპატიით უცქერის ფედერაციის საკითხს. ენვერ-ბეის სიტყვით, ბალკანეთის ფედერაციის საკითხი რუსეთშია დაბადებული. ეხლაც საჭიროა რუსეთმა ზნეობრივი გავლენა არ მოაკლოს ამ საკითხსაო.

**მეფე ფერდინანდი სერბიაში.**

მკითხველებს ეხსომებათ, რომ მეფე ფერდინანდმა ამას წინად იმოგზაურა ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოში. იყო პარიზშიაც. მოგზაურობას პოლიტიკურ მნიშვნელობას აწერენ. ფერდინანდი და სერბიის მეფე პეტრე მეგობრულად შეხვდნენ ერთმანეთს. ხალხიც აღტაცებით ეგებებოდა სლავიანთა მეფეების შეხვედრას. ავსტრიის გაზეთები მტრულის კილოთი შეხვდნენ ფერდინანდის ბელგრადში მისვლას. ყველა ფიქრობს, რომ უკვე უზრუნველ-ყოფილად უნდა ჩაითვალოს სერბიისა, ბოლგარიისა და ჩერნოგორიის შეთანხმება კავშირის დაარსების შესახებაო.

**ოსმალეთის ფლოტი.**

ადმირალმა გემბელმა გამოუცხადა დიდ ვეზირს, სამსახურიდან გავდგები თუ მთავრობა საჭირო რეფორმებს არ მოახდენს ფლოტშიო. ამის გამო გემების ამშენებელმა ფირმებმა: ანსალდომ, არმსტრონგმა, კრუპმა და მნეიდერმა განუცხადეს საზღვაო მინისტრს, თანახმანი ვართ 15—20 მილიონი გირვანქა სესხი გაუხსნათ ოსმალეთის მთავრობას. სესხის გადახდა ნაწილ ნაწილად შეიძლება რამდენიმე წლის განმავლობაშიო. გაზეთების სიტყვით, ოსმალეთში სერიოზულად ფიქრობენ ძლიერი ფლოტის შექმნაზე.

ლონდონიდან ატყობინებენ „რ. სლ.“, რომ სპარსეთში ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ამბავმა, ვითომ რუსეთს განეზრახოს გააძლიეროს სპარსეთის დამსჯელი რაზმი ხუთი ათას კაცამდე. სპარსელები აღელვებულნი არიან ამ ამბით. ისინი ამტკიცებენ, რომ რუსეთის მთავრობის ასეთი საქციელი ძირს უთხრის სპარსეთის მთავრობის მეცადინეობას ავაზაკთა წინააღმდეგ მიმართულს. ხელი-ხელ გადადის ფოტოგრაფიულ სურათი სადაც გადაღებულნი არიან რუსის ოფიცრები, არდებილის რუსის საკონსულოს მდივანი და რახიმხა—ავაზაკ შახსევენელთა წინამძღოლი და სულის ჩამდგმელი.

**ნორვეგიელი ჟურნალისტები და სახალხო განათლების სამინისტრო.**

ნორვეგიის სახელმწიფოს რამდენიმე სტიპენდია აქვს დანიშნული ჟურნალისტებისათვის. ყოველ წლივ აგზავნიან რამდენიმე კაცს საზღვარგარედ საზოგადოებრივ ცხოვრების რომელიმე დარგის შესასწავლად. ეს ორი წელიწადია მთავრობას აღარავინ გაუგზავნია საზღვარ-გარედ. ეხლა, უცხოეთის გაზეთების სიტყვით, ნორვეგიის სახალხო განათლების სამინისტროს, რომელსაც ჩაბარებული აქვს სტიპენდიების გამგებლობა, განუახლებია ჟურნალისტების საზღვარგარედ გაგზავნა და თანახმად ნორვეგიის ჟურნალისტთა დადგენილებისა სტიპენდიები მიუცია ჟურნალისტებისათვის—ქრისტიანიის ერთ რადიკალურ გაზეთის თანამშრომლისათვის, რომელმაც უნდა შეისწავლოს ბეჭდვითი საქმის მდგომარეობა საფრანგეთსა და გერმანიაში; კონსერვატორთა ერთ პროვინციალურ ორგანოს თანამშრომელს, დანიაში პოლიტიკურ ეკონომიის შესასწავლად, ქრისტიანიის სოციალისტურ გაზეთის თანამშრომლისათვის, რომელმაც უნდა შეისწავლოს ინგლისისა და საფრანგეთის სოციალური პოლიტიკა. თითო სტიპენდიანტს მიეცემა 500 კრონი ორ თვეში.

# რუსეთი

✦ **თურქესტანის მხარეში.** განზრახული იყო თურქესტანის მხარეში სხვა და სხვა რეფორმები მოეხდინათ, მაგრამ ჯერ-ჯერობით რეფორმებს აღარ მოახდენენ. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, ამის მიზეზი ის არის, რომ სენატორ პალენის აზრით (პალენი რევიზიას უშვება თურქესტანის მხარეს) თურქესტანის მხარეში ისეა საქმე არეულ-დარეული, რომ სანამ ყველაფერი არ დაინგრევა და დანგრეულის ადგილას ახალი არ აშენდება, ისე არაფერი არ გაკეთდება. უმაღლესს მთავრობას გადაუწყვეტია მოუცადოს რევიზიის დამთავრებას.

✦ **ფინლიანდია.** „ბაკუს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: მთავრობას გადაუწყვეტია აქვს სახელმწიფო სათათბიროში ახალ წლამდის აღარ შეიტანოს ფინლიანდიის საქმეების მოწესრიგების შესახებ კანონპროექტი. ამას გარდა მთავრობა ახალ წლამდის ფინლიანდიაში სხვა და სხვა განზრახულ ზომებს აღარ მიიღებს.

✦ **სატუსაღოებში.** „რუსკ. ვედ.“ ველსკიდან შემდეგს ატყობინებენ: უფის გუბერნიის ადმინისტრაციის განკარგულებით გლეხის ქალი ქსენია ნოვოჟილოვისა ვოლოგდის გუბერნიაში გადაასახლეს, რა თქმა უნდა, ნოვოჟილოვისა ეტაპით გაგზავნეს ვოლოგდის გუბერნიაში. ნოვოჟილოვისას თან მისდევდა მისი ქალი, 7 წლის ბავშვი. ეტაპი იაროსლავში რამდენიმე დღე შეაჩერეს და ნოვოჟილოვისა სატუსაღოში დასტოვეს. ერთხელ, როდესაც ნოვოჟილოვისა რაღაც საქმეს აკეთებდა, მისი 7 წლის ქალიშვილი ფანჯარაზედ აცოცდა და ეზოში იყურებოდა. უცებ ეზოდან თოფის ხმა მოისმა და საწყალი 7 წლის ქალიშვილი იატაკზედ დაეცა. გასაკვირველია სწორედ სატუსაღოების მთავარ გამგეობის საქციელი. რა დააშავა პატარა ბავშვმა და ან სხვა ტუსაღებმა, რომ ფანჯარაში გამოხედვისათანავე სიცოცხლეს ასალმებენ?

✦ **ადგილობრივ სასამართლოების რეფორმა.** „რანნეე უტ.“ სიტყვით შინაგან საქმეთა მინისტრს ყველა გუბერნატორისთვის მიუწერია, განთავისუფლებულ ადგილებზედ საერობო უფროსად ნუღარავის დანიშნავთ და საერობო უფროსებისაგან სამინისტროში გამოსაგზავნ თხოვნებს ნუღარ მიიღებთო. ამბობენ, რომ ეს განკარგულება იმითია გამოწვეული, რომ ახლო მომავალში უნდათ ადგილობრივ სასამართლოს რეფორმის ცხოვრებაში გატარებაო.

✦ **სახელმწიფო სათათბიროში.** როგორც ვიცით სახელმწიფო სათათბიროს ნაციონალისტების ფრაქციამ ფრაქციიდან განდევნა დეპუტატი გულკინი. გულკინს თავის ფრაქცია შეუდგენია, „დამოუკიდებელთა პარტია“- ამ ფრაქციაში ჯერ-ჯერობით შედის 18 დეპუტატი.- ფრაქციის წევრები სხვა და სხვა საკითხებში მემარცხენეებს მიემხრობიან.

✦ **სამხედრო საექიმო აკადემიაში.** წელს სამხედრო-საექიმო აკადემიას 150 სტუდენტი ათავებს. ამათ გაუმართავთ კრება და დაუდგენიათ. (ორი წინააღმდეგი ყოფილა), ექიმის ღირსებას ჰლახავს ის გარემოება, რომ ექიმები სიკვდილით დასჯას ესწრებიან, ჩვენ ამას ვერ ჩავიდენთო.


**23 ოქტომბრის ვაჭრობა წ.-კ. საზოგადოების სასარგებლოდ**

[illegible] 65) [illegible] ხურციძემ—10 მ. 10 კ. 66) იოსებ ხითაროვმა—5 მ. 67) ვანო დოდაშვილმა—30 კ., 68) მინა ტომარაძემ—55 კ., 69) ნიკიფ. ხომასურიძემ—1 მ. 70) დავით ათაბეგოვმა—50 კ., 71) სოფიო ენიკოლოპიანცმა—50 კ. 72) ივანე ქურთიშვილმა—1. 50 კ, 73) არისტ. ჩარახიანცმა—50 კ. 74) კარაპეტ ქიტიევმა—50 კ., 75) სერგო ჩარკვიანმა და ბეჟლარ ახვლედიანმა—1 მ. 50 კ. 76) კარაპ. ავეტისოვმა და გ. მატინიანცმა — 1 მ., 77) ისაკ კარაკაშევმა—50 კ. 78) არუთ. კუზნეცოვმა—50 კ. 79) გიორგი პატიევმა — 50 კ. 80) ნიკო მეტრეველმა—50 კ. 81) კოტე ფირცხელაურმა—1 მ. 82) ზაქ ზარვაძემ და გიორ. მაისურაძემ—1 მ. 30 კ. 83) სედრაკ ტერ-ზახატუროვმა—60 კ. 84) მკრტიჩ მელიქჯანოვმა 20 კ. 85) თომა ჯიქიამ—1 მ. 86) მიხეილ პიტნავამ—1 მ. 87) სამსონ დანელიამ—50 კ. 88) მიხეილ იმედაძემ—1 მ. 89) დავით პაპაშვილმა—50 კ. 90) თადეოს ქანტურიანცმა—50 კ. 91) ალექ. ცომაიამ—1 მ. 92) ალექ. ზაალოვმა—50 კ. 93) დავით გოგიჩაძემ—50 კ. 94) იაგორ ნავტიკოვმა—50 კ. 95) არშაკ აკოფოვმა—2 მ. 96) იოსებ ივანიაშვილმა და ივანე შენგელიამ—3 მ. 97) ისაკ ბედიანიძემ—3 მ.

კერძო საავადმყოფოები/

**კიეველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1/2}$—10 ს. თვალი, სა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ა. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტიანცი:** 11—12 ს. კანისა. სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ა. კარამიშვიანცი:** 1—$1^{1/2}$ ს. შინაგან და ბავშვებისა.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^{1/2}$ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^{1/2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. ფ. მარცინშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—222)

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და ხიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—9

სამანუფაქტურო მაღაზია

**ა. ი. ამირალოვისა**

სოლოლაკის ქუჩიდან გადმოსვლის შემდეგ თამამშევების ქარვასლაში (№ № 19, 22 და 23), შევამოკლე რა ყველა ხარჯი ერთი სამათ ვაჭრობის შეჩერების გამო,

**ძალიან იაფად**

ვყიდი მთელ საქონელს, როგორც: ყოველნაირს აბრეშუმეული, მატყლეული, მაუდის, ტილოსი, ბამბის და

**სამ ე ბ ე ლ ო მ ა ტ ე რ ი ე ბ ი**

**ისარგებლეთ შემთხვევით**

(5—552—2)

**ზ ღ ა პ რ ე ბ ი**

**ქართლში, კახეთში და ფშავში**

შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ

დაიბეჭდა და იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ფასი 2 წიგნისა 1 მან. 50 კ. საწყობი იქვეა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Дворцовая, Обществу грамотности. (15—7)

გაზეთ „დროების“ რედაქციის კანტორაში

**მიიღება ხელის მოწერა**

Bâton-ის წიგნზე:

**„ერი და პატრიოტობა, განხილული სოციოლოგიური მხრით“**

დაახლოვებით 250—300 გვ. ✦ ხელის მომწერთათვის ფასი 60 კ. დაბეჭდვისა და გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება. (10—6)

გამომცემელი **მ. ხუციშვილი.**


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე**